MINISTRY OF EDUCATION,
SCIENCE AND YOUTH OF GEORGIA

ORGANISATION INTERNATIONALE DE la francophonie

რეგიონული სემინარი

„ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ფრანგული ენის სწავლებაში“

(თბილისი, 4-6 ივნისი, 2025)

მიმდინარე წლის 4-6 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციის (Organisation Internationale de la Francophonie – OIF) რეგიონულ სემინარს თემაზე: **„ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება ფრანგული ენის სწავლებაში“**.

სემინარში მონაწილეობს 9 ქვეყანა: ალბანეთი, სომხეთი, ბულგარეთი, კოსოვო, ჩრდილოეთ მაკედონია, მოლდოვა, რუმინეთი, სერბეთი, საქართველო.

სამდღიანი სემინარი მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მასშტაბით ფრანგული ენის სწავლა-სწავლებაში ჩართული ექსპერტების, ტრენერების, პროფესორ-მასწავლებლების სასწავლო-სამეცნიერო გამოცდილებაზე დაფუძნებული ერთიანი მოდულის შემუშავებას.

ხელოვნური ინტელექტის გლობალური სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილ რეგიონულ სემინარს თსუ-სა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად უმასპინძლებენ და მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები.

ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარსულშიც უთანამშრომლიათ, რაც გამოიხატებოდა ფრანკოფონი სტუდენტების ჩართულობაში მრავალმხრივ საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში. 2023 წლის 7-8 ივლისს საქართველოს პარლამენტმა უმასპინძლა ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის (APF) 48-ე სესიას, სადაც ჩვენმა ქვეყანამ ასოცირებული წევრის სტატუსი მიიღო. ამავე წელს საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო კანადაში გამართულ ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის სესიაში, რომლის ერთ-ერთ საკვანძო თემად ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიის შემუშავება განიხილებოდა. კანადაში ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის ახალგაზრდული პარლამენტის მუშაობაში პირველად ჩაერთნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანული ფილოლოგიის კათედრის სტუდენტები.
https://parliament.ge/media/news/davit-songhulashvili-frankofoniis-saparlamento-asambleis-sesiis-farglebshi-khelovnur-intelektze-mokhsenebit-tsardga

მიმდინარე წელს საქართველო **მასპინძელ ქვეყნად შეირჩა ამჯერად** ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის შეფასებისა და ფრანკოფონულ საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცეში მისი ინტეგრაციის მიმართულებით.

აღნიშნული რეგიონალური სემინარის გახსნა დაგეგმილია 4 ივნისს, 10 სთ-ზე, თსუ 1 კორპუსის სააქტო დარბაზში, სადაც საზოგადოებას მიმართავენ უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქ-ნი ბაია კვიციანი და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ფრანკოფონიის რეგიონული ცენტრის (CREFECO) აღმასრულებელი დირექტორი ბ-ნი ემანუელ სამსონი.

ღონისძიების მხარდამჭერია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.